წერილი-მოსაწვევი ტენდერში მონაწილეობაზე

ძვირფასო ბატონებო,

შპს „რაკიინ აფთაუნ დეველოპმენტი“-ს ადმინისტრაცია აცხადებს დახურულ ტენდერს: **სავაჭრო ცენტრ „თბილისი მოლი“- სთვის დაცვის მომსახურების უზრუნველყოფაზე**. არსებული წერილი-მოსაწვევი ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ერთადერთი შეტყობინების წყაროა. ინფორმაცია ტენდერზე არ იქნება გამოქვეყნებული არსად (არც მედიაში, არც ინტერნეტში), მათ შორის შედეგებიც.

შპს „რაკიინ აფთაუნ დეველოპმენტი“ არის კომპანია უცხოური კაპიტალით, ამიტომ ყველა საბუთი გამოზავნილი ჩვენს მისამართზე უნდა შედგეს 2 ეგზემპლიარად: ინგლისურ და ქართულ ენაზე.
კომპანიის ოფისის მდებარეობა: დ. აღმაშენებლის ხეივანი 213.
ტენდერის ჩატარებაზე პასუხისმგებელი პირის საკონტაქტო ნომერი : 599 885 455.
სავაჭრო ცენტრი „თბილისი მოლი“-ს მდებარეობა: დ. აღმაშენებლის ხეივანი 213.
ვებ-საიტის მისამართი: www.tbilisimall.ge

ფუნქციონალურად: ეს არის სავაჭრო და გასართობი ცენტრი, საერთო ფართით 250,000 კვ.მ. და ითვლება ერთ-ერთ უმსხვილეს სავაჭრო ცენტრად კავკასიაში . რვა სართულიანი შენობა, რომლის ოთხი სართული მიწისქვეშა ავტოსადგომია .

სავაჭრო ცენტრ „თბილისი მოლი“-სთვის დაცვის მომსახურების უზრუნველყოფაზე დახურული ტენდერის ჩატარების წესები

ტენდერის ჩატარების მიზნები:

- კორპორატიული ხასიათის მოთხოვნები;
- კომპანიის საჭიროება მოიპოვოს მომგებიანი წინადადება, იმისათვის, რომ შედეგად მიიღოს სავაჭრო ცენტრის დაცვის ამოცანების ოპტიმალური ამოხსნა, მისაღებ ფასში.

დახურული ტენდერის ჩატარების წესების შესაბამისად, მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ მხოლოდ იურიდიულ პირებს, ვისაც მიღებული აქვს არსებული წერილი-მოსაწვევი.

ტენდერის ჩატარების წესებში შედის წესიერი გაფორმება და ყველა საჭირო დოკუმენტაციის დროულად მიწოდება ორგანიზატორისთვის. ყველა საბუთი და წინადადებები ტენდერის მონაწილეებისგან უნდა იყოს გადაცემული ტენდერის ჩატარების ორგანიზაციაზე პასუხისმგებელი თანამდებობის პირისთვის, ორ კონვერტში, ინგლისურ და ქართულ ენაზე, მიმაგრებული დანართების ნუსხით, კომპანიის დარტყმული ბეჭდით, და მისი ხელმძღვანელის ხელმოწერით. ორივე დალუქული კონვერტი იქნება გახსნილი სატენდერო კომისიის წარმომადგენლის მიერ, კერძო დაცვის კომპანიის მფლობელის, ან მისი რწმუნებულის თანდასწრებით, რის შემდეგ ყველა საბუთი იქნება შედარებული ტენდერში მონაწილეობის მისაღებად აუცილებელ დოკუმენტაციის ნუსხასთან.

იმ შემთხვევაში, თუ საბუთების სია აღმოჩნდება არასრული, ან არ შეესაბამება კონკურსის რეგლამენტს, სატენდერო კომისიის წარმომადგენელი უარს ამბობს საბუთების მიღებაზე და აბრუნებს კონვერტებს.

ტენდერის მონაწელეებისთვის წარმოდგენილი მოთხოვნა, ანალოგიურია ყველასთვის და არის შეტანილი თქვენს მისამართზე გამოზავნილ საბუთებში.
შპს „რაკიინ აფთაუნ დეველოპმენტი“-ს ადმინისტრაციას, ტენდერის ორგანიზებაზე განაცხადის შეტანის შემდეგ, ორი კვირის ვადაში, შეუძლია შეცვალოს პირობები კონკურსის მონაწილეების მიმართ, ან საერთოდ გააუქმოს ტენდერის ჩატარება.
შეტყობინება ტენდერის ღონისძიების გაუქმებაზე, ხდება იგივე საშუალებით, როგორც პრეტენდენტის ინფორმირება მისი დაწყების თაობაზე.
თუ ტენდერის ღონისძიების ორგანიზატორმა მიიღო კონკურსში მონაწილეობის მისაღებად მხოლოდ ერთ განაცხადი, მაშინ იძულებული იქნება გააუქმოს ის, და გამოაცხადოს ახალი ტენდერის დაწყება.

ტენდერი იქნება ჩატარებული 3 ეტაპად:

- მომზადება (პრეზენტაცია);
- კომპანიების შერჩევა (ტექნიკური დავალების გაცემა);
- საბოლოო არჩევანი (შეფასება).

პირველ ეტაპზე (მომზადება): შპს. „რაკიინ აფთაუნ დეველოპმენტი“-ს ხელმძღვანელის ბრძანებით, ინიშნება სავაჭრო ცენტრ „თბილისი მოლი“-სთვის დაცვის მომსახურების უზრუნველყოფაზე დახურული ტენდერის ჩატარების და მომზადების კომისია.
დახურული ტენდერის პოტენციურ მონაწილეებს უნდა ჰქონდეთ კარგი საქმიანი რეპუტაცია. შემდეგ ხდება ეგრეთ წოდებული სატენდერო წერილების-მოსაწვევების გაგზავნა (არსებული დოკუმენტი) დახურული ტენდერის პოტენციური მონაწილეებისთვის, რომლებიც წარმატებულად მოღვაწეობენ ქართულ ბაზარზე, უძრავი ქონების (ობიექტების) დაცვის მომსახურების შეთავაზების სფეროში.

საბუთების, კრიტერიუმების, და საკვალიფიკაციო მოთხოვნების ჩამონათვალი, რის საფუძველზე იქნება ამორჩეული სავაჭრო ცენტრ „თბილისი მოლი“-ს დაცვის მომსახურების მომწოდებელი ამ ეტაპზე :

ტენდერში მონაწილეობისთვის, თქვენ უნდა შეიტანოთ **განაცხადი**, დადგენილი წესის მიხედვით, არსებულ წერილში თან დართული ფორმის მიხედვით (ფორმა 1).
ტენდერში მონაწილეობის მისაღებად განაცხადის შეტანისას, განმცხადებელი ადასტურებს, რომ გაეცნო აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობის პირობებს და იღებს მათი დაცვის ვალდებულებას.
თუ, კონკურსის პროცესში, მონაწილე ცდება დადგენილ წესებს, ის ავტომატურად იხსნება მონაწილეობიდან, და მისი განაცხადი, და ასევე წარმოდგენილი საბუთები არ იქნება განხილული შესაბამისი კომისიის მიერ.

განაცხადს, რისი მეშვეობით, კერძო დაცვის კომპანია აპირებს დახურულ ტენდერში მონაწილეობის მიღებას, თან უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები:

1. მონაწილის-იურიდიული პირის ანკეტა, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს მისი შევსების არსებულ მოთხოვნებს (დანართი 1).

2. დაარსების დოკუმენტაციის ქსეროასლები. აქ თან უნდა იყოს დართული ყველა ცვლილება, რომელიც ეხება ამ საბუთებს.
3. მოწმობა, რომელიც ადასტურებს იურიდიული პირის რეგისტრაციას და მის შეყვანას საქართველოს კომპანიების საერთო რეესტრში. ამონაწერი ზემოთ აღნიშნული რეესტრიდან - ან ორიგინალი, ან ნოტარიულად დამოწმებული ქსეროასლი, რომლის ვადა არ უნდა აღემატებოდეს ერთ თვეს, ტენდერში მონაწილეობის მისაღებად განაცხადის შეტანის მომენტიდან.
4. დაცვითი საქმიანობის უფლების დამადასტურებელი ლიცენზიის ასლი. საბუთის ორიგინალი უნდა იყოს წარმოდგენილი კანდიდატთან პირადი კონტაქტის დროს, ტენდერის ჩატარების მეორე ეტაპზე.
5. კვალიფიკაციის ცხრილი (დანართი 2).
6. დაცვის მომსახურების ტარიფების ცხრილი (მეორე ეტაპზე, დანართი 3).

კომპანიის პრეზენტაციის განხორციელების განმარტება:

- ❖ თქვენ მოგიწევთ თქვენი კომპანიის წარმოდგენა, ჩვენი სურვილების გათვალისწინება, საჭირო საბუთების ჩამონათვალის მოწოდება და დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა. მონაწილე კომპანიამ ისე უნდა წარმოადგინოს თავისი მომსახურება, რომ ტენდერის ორგანიზატორი დარწმუნდეს იმაში, რომ კომპანია მზად არის შეასრულოს საჭირო სამუშაო და უზრუნველყოს მარალი შედეგები. არ არის საიდუმლო, რომ ასეთი პრეზენტაციების მეშვეობით შესაძლებელია მოცულობითი ინფორმაციის მიღება, თქვენი მომავალი ბიზნეს პარტნიორი კომპანიის შესახებ, და შეგნებულად სწორი არჩევნის გაკეთება.
- ❖ თქვენ დეტალურად უნდა აღწეროთ თქვენი კომპანიის თანამშრომლების ფუნქციონალური მოვალეობები უძრავი ქონების დაცვასთან დაკავშირებული.
- ❖ თქვენ დეტალურად უნდა აღწეროთ თქვენი კომპანიის თანამშრომლების მოქმედება და პროცედურები დასაცავ ობიექტზე საგანგებო სიტუაციების აღმოჩენის შემთხვევაში.
- ❖ ჩვენ ასევე გვაინტერესებს:
    - ✓ რა ამოცანების ამოხსნას აპირებთ, სავაჭრო ცენტრ „თბილისი მოლი“-ს დაცვის უფლებამოსილების განხორციელებისას;
    - ✓ რა სპეციალური და პერსონალური დაცვის საშუალებებით არიან თქვენი თანამშრომლები აღჭურვილები, სამსახურეობრივი მოვალეობების შესრულებისას? აქვთ თქვენს თანამშრომლებს იარაღის ტარების უფლება?;
    - ✓ დაცვის და მონიტორინგის თანამშრომლების უნიფორმის ნიმუშები;
- ❖ ჩვენი მოთხოვნები:
  სასურველია თქვენი თანამშრომლები იყვნენ საშუალოზე მაღალი ტანისა, თავშეკავებული, თავაზიანი, მოწესრიგებული, წელში გამართული, ფიზიკურად ჯანმრთელი ახალგაზრდები, სპორტული აგებულებით, პროფესიული ჩვევების მქონე, ინგლისური(რუსული) ენის კომუნიკაციისთვის საკმარისი ცოდნით.
- ❖ საჭიროების შემთხვევაში, დახურული ტენდერის ჩატარების კომისიას აქვს უფლება ტენდერის მონაწილეებისგან მოითხოვოს ინფორმაციის განმარტება წარმოდგენილი საბუთებიდან, ან ნაპოვნი არასწორი მონაცემების, ან ფორმულირებების შესწორება. თუ ტენდერის მონაწილე უარს აცხადებს ორგანიზატორების მოთხოვნების შესრულებაზე, იგი იხსნება კონკურსიდან.
- ❖ საბუთების ჩაბარების ბოლო ვადა არის 7 სამუშაო დღე, გაგზავნის მომენტიდან.

მეორე (შესარჩევი) ეტაპი: შეგროვებული მონაცემების ანალიზის და საპრეზენტაციო საბუთების(პროგრამების) განხილვის და შესწავლის შემდეგ, თქვენს მიერ წარმოდგენილი მატერიალების საფუძველზე შეირჩევა სამი კომპანია, რომლის ხელმძღვანელები იქნებიან დაპატიჟებული გასაუბრებაზე, და მიიღებენ ტექნიკურ დავალებას (დანართების ჩათვლით) სავაჭრო ცენტრ „თბილისი მოლის“ დაცვის შესახებ. ტექნიკურ დავალებასთან ერთად გაიცემა სავაჭრო ცენტრ „თბილისი მოლი“-ს დაცვის მომსახურების ღირებულების და აგრეთვე თქვენს კომპანიაში არსებული თანამდებობის პირების ტარიფების მოთხოვნა, რომელიც აუცილებელია შეივსოს თან დართული ფორმის მიხედვით.
ამ ეტაპისთვის, თქვენს მიერ მომზადებული საბუთები აუცილებელია გაიგზავნოს ჩვენს მისამართზე, ზემოთ აღნიშნული წესის მიხედვით, არაუგვიანეს 7 სამუშაო დღისა,თქვენს მიერ მიღების მომენტიდან.

მესამე (საბოლოო) ეტაპი: პრეტენდენტებს შეაფასებს სატენდერო კომისია. ეს პროცესი, პირველ რიგში, დაფუძნებულია კანდიდატებისგან მიღებული სატენდერო საბუთების ანალიზზე და ჩატარებულ გასაუბრებაზე.
საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად, ტენდერის ორგანიზატორი შეიძლება მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია კანდიდატებისგან.

გადაწყვეტილების მიღების წესი:

1. გადაწყვეტილებები იქნება მიღებული მხოლოდ სატენდერო კომისიის დახურულ სხდომაზე. შეხვედრას უნდა ესწრებოდეს არანაკლებ ნახევრისა ძირითადი შემადგენლობის. გადაწყვეტილება მიიღება კენჭისყრით.
2. თუ სატენდერო კომისიის წევრების ხმები განაწილდება თანაბრად, მაშინ თავმჯდომარის ხმა გადამწყვეტი იქნება.
3. სატენდერო კომისიის ნებისმიერი გადაწყვეტილება უნდა იყოს ოფიციალურად გაფორმებული, ოქმის შედგენის მეშვეობით. მას ხელს აწერენ ყველა დამსწრები კომისიის წევრები, ვინც კენჭისყრაში მონაწილეობას იღებს.

იმ შემთხვევაში, თუ კონკურსის შედეგების შეჯამების შემდეგ, აღმოჩნდება რაიმე შეუსაბამობა ან ფარული ფაქტები, რომლებიც ეწინააღმდეგება ტენდერის ჩატარების პირობებს, მაშინ გამარჯვებული იხსნება მონაწილეობიდან. ტენდერის ახალი გამარჯვებული იქნება განსაზღვრული ხუთი სამუშაო დღის ვადაში.

ტენდერის შედეგების შეფასება და შეჯამება, ხორციელდება მონაწილეების დასწრების გარეშე.

ტენდერში გაიმარჯვებს ის კანდიდატი, რომელიც კომისიის აზრით შეძლო საუკეთესო შათავაზების გაკეთება სავაჭრო ცენტრ „თბილისი მოლი“-სთვის დაცვის მომსახურების უზრუნველყოფაზე. ტენდერში გამარჯვებული კომპანიის მფლობელთან, 5 სამუშაო დღის ვადაში, იქნება ორგანიზებული შეხვედრა შპს „რაკიინ აფთაუნ დეველოპმენტი“-ს ხელმძღვანელთან, გასაუბრების და კონტრაქტის პირობების განხილვის მიზნით.

ტენდერში გამარჯვებულის მნიშვნელოვანი შერჩევის კრიტერიუმები:

საუკეთესო შემოთავაზება უნდა შეესაბამებოდეს შემდეგი პარამეტრების ერთობლიობას:

- კომპანიის კარგი ბიზნეს რეპუტაცია;
- კომპანიის პოტენციალის მაღალი დონე;
- გამოცდილება, სტაჟი, დაცვითი მომსახურების ბაზარზე სამუშაოს მოცულობა;

- კვალიფიკაცია, კომპანიის თანამშრომლების პროფესიონალიზმი;
- თანამშრომლების სოციალური დაზღვევის არსებობა;
- გრაფიკი, სამუშაო რეჟიმი, თანამშრომლების რაოდენობა;
- კომპანიის შესაძლებლობები და თანამშრომლების აღჭურვილობა;
- დასახული ამოცანების ჩამონათვალი;
- ტარიფები, ფასი;

კომპანიის უფლებამოსილი წარმომადგენელი:

_____ ა. მეშჩერიაკოვი

შემსრულებელი: ნიკოლოზ კომელევი
ტელ.: +995 599 54 41 12
E-mail: n.komelev@tbilisimall.com

«_____»_____2023

სატენდერო განაცხადი

«____»_____ 2023

სავაჭრო ცენტრ „თბილისი მოლი“-სთვის (შპს „რაკიინ აფთაუნ დეველოპმენტი“) დაცვის მომსახურების უზრუნველყოფაზე კომპანიის შესარჩევი დახურული ტენდერი.

ბატონებო,

სატენდერო დოკუმენტაციის შესწავლის და ტენდერის ორგანიზაციის და ჩატარების პირობების(მოთხოვნების) მიღების შემდეგ, ჩვენ

_____

(ტენდერის მონაწილის მთლიანი დასახელება და იურიდიული მისამართი)

_____

ჩვენ გთავაზობთ სავაჭრო ცენტრ „თბილისი მოლი“-სთვის (შპს „რაკიინ აფთაუნ დეველოპმენტი“) დაცვის მომსახურების უზრუნველყოფაზე დახურულ ტენდერში მონაწილეობას, ამ სატენდერო განაცხადში არსებული პირობების, ტარიფების ტაბულის და სხვა საბუთების შესაბამისად და ასევე არსებული სატენდერო დოკუმენტაციაში სხვა მოთხოვნების და პირობების გათვალისწინებით. ჩვენ თანახმა ვართ, დავიცვათ არსებული სატენდერო განაცხადის დებულებები, არანაკლებ 30 დღისა, სატენდერო განაცხადების მიღების დასრულების დღიდან, მითითებულ სატენდერო დოკუმენტაციაში. არსებული სატენდერო განაცხადი სავალდებულო იქნება ჩვენთვის და შეიძლება მიღებულ იქნას აღსრულებისთვის ნებისმიერ მომენტში, ზემოთ აღნიშნული ვადის ამოწურვამდე

დანართები:

1. ტენდერის მონაწილის ანკეტა -..... ____ ფ

2. კვალიფიკაციის ტაბულა -.....____ ფ

3. ფასების ტაბულა - .....____ ფ

საბუთების ნუსხა* - .....____ ფ

_____

(ხელის მომწერის გვარი, სახელი, თანამდებობა)

_____

(ხელმოწერა)

ბეჭდის ადგილი

*“ საბუთების ნუსხაში - .....____ ფ“ ჩამოთვლილია ყველა საბუთი, შეტანილი განაცხადში, ფურცლების რაოდენობის მითითებით.

დანართი 1. ტენდერის პოტენციური მონაწილის ანკეტა

№	სახელი	ინფორმაცია ტენდერის მონაწილეზე (ივსება ტენდერის მონაწილის მიერ)
1.	ტენდერის მონაწილის საფირმო სახელი	
2.	ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	
3.	დამფუძნებლები (ჩამოთვალეთ ყველა დამფუძნებელი, რომლის წილი საწესდებო კაპიტალში აღემატება 10%)	
4.	რეგისტრაციის მოწმობა (ნომერი, თარიღი და ვისი გაცემულია)	
5.	იურიდიული მისამართი	
6.	ფაქტიური მისამართი	
7.	ფილიალები (ჩამოთვალეთ სახელები და მისამართები)	
8.	საბანკო რეკვიზიტები (ბანკის სახელი, BIC, TIN)	
9.	საკონტაქტო ნომრები (კოდით)	
10.	ფაქსი (კოდით)	
11.	E-mail მისამართი	
12.	თანამშრომელი, სატენდერო განაცხადზე პასუხისმგებელი	

_____

(ხელის მომწერის გვარი, სახელი, თანამდებობა)

_____

(ხელმოწერა)

ბეჭდის ადგილი

დანართი 2. კვალიფიკაციის ცხრილი

№	კვალიფიკაციის პარამეტრები	ინფორმაცია ტენდერის მონაწილეზე
1.	პერსონალის რაოდენობა	
2.	გამოცდილების მქონე საკუთარი კვალიფიციური სპეციალისტების არსებობა	
3.	კომპანიის თანამშრომლების ტექნიკური აღჭურვილობა	

_____

(ხელის მომწერის გვარი, სახელი)

_____

(თანამდებობა)

_____

(ხელმოწერა)

ბეჭდის ადგილი

დანართი 3. ტარიფების ცხრილი

დასაცავი ობიექტის დასახელება	24 საათიანი მცველის ღირებულება	12 საათიანი მცველის ღირებულება	24 საათიანი ცვლის უფროსის ღირებულება		24 საათიანი ცვლის უფროსის მოადგილის ღირებულება	დაცვის უფროსის ღირებულება	დაცვის უფროსის მოადგილის ღირებულება			
სავაჭრო ცენტრი „თბილისი მოლი“										

_____

(ხელის მომწერის გვარი, სახელი)

_____

(თანამდებობა)

_____

(ხელმოწერა)

ბეჭდის ადგილი